№ წიგ. 985

# თეატრი და ცხოვრება

№ 11 ფასი 10 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

## „თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრ[illegible] ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტ[illegible] თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ ი[illegible] იმედაშვილს. ტელეფონი № 4—[illegible]

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნ[illegible]

დაარსდა 1910 წ. | კვირა, მარტის 21 | გამოცემა 1920 წ.



მგოსანი ქალი ნინო ორბელიანისა
(გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო)



ნოტო ლოლუას სკოლის მასწავლებელ-მოწაფენი საექსკურსიოთ.
(იხ. ამავე ნომერში წერილი „მადლიანი ადამიანი“)

985

# წარსულის გაგრძელება

ჩვენი დამოუკიდებლობა მარტო ქაღალდზე არ უნდა იყოს, არამედ სინამდვილეშიც

სინამდვილეში კი როგორ იქნება, როცა ჩვენის ხალხის უმრავლესობის გონებას ჯერ კიდევ ბინდი გადაჰკვრია, როცა მშობლიურ წარსულთან ძაფია გაწყვეტილი, წარსულსა და აწმყო-მომავალს შორის ჯერ კიდევ ხიდი ვერ გაუდვია.

რა აამაღლებს ხალხს გონება-ზნეობით ა სულით?—ხელოვნება-მეცნიერების ყველა ?გის მეხამებული განვითარება-აღორძინება

ჩვენი წინა წერილი „მუზათა მეჯლისი,“ ?მელშიაც აღვნიშნეთ მუზათა გაფრთხო- ? მიზეზები და მოვითხოვეთ მათი სავარძ- ?ების გასუფთავება, დავაბოლოვეთ კითხ- ?თ: „ვისი ვალია ეს?“—სავარძლების გაფაზება?—ხელოვნების პროკურორის.

### დიაღ, პროკურორია საჭირო!

გსმენიათ თუ არა მართლმსაჯულობის დარაჯად ვინა სდგას?—ვინ მეთვალყურეობს, რომ სახელმწიფო კანონი ყალბად ან ბოროტად არავინ გამოიყენოს?—

პროკურორი!

დღეს ჩვენი მწერლობა და თეატრი გარდამავალ ხანაშია. იბადება სხვადასხვა მიმართულება, რომელიც ვითომ ძველს ანგრევს, ახალს ამყარებს... გზები აიხლართ-დაიხლართა, ხელოვნების წყარო შეგუბდა, ჩალა-ბულა ნაგავით ივსება,—ამის გასაწმენდათ ვინ არის საჭირო?

პროკურორი!

მაგრამ პროკურორი არა სამოქალაქო—სახელმწიფო სასამართლოსი, არამედ ადამიანის სულიერ ?ისწრაფებათა ღვთიური ცეცხლის კოცონის სისწორით შემკეთებელ-ამგიზგიზებელი!..

ნუ ვინ დაგვწამებს ვითომც ძველს ვებღაუქებოდეთ, ახალს უარსვყოფდეთ,—ღმერთმა დაგვიფაროს: ასე მოიქცევა სიცოცხლის უარმყოფელი, ჩვენ კი ჩვენის ერის სიცოცხლის ლამაზ დვრიტას მომავალში ვსჭვრეტთ...

მაგრამ „ახალის“ ძიებით ჩვენი ერის სულიერ ავლადიდებას, მისი ნამდვილი, შეურყვნელი პსიქიკის ფეხქვეშ გათელვა არავის უნდა ეპატიოს.

შესაძლოა, ბევრი ახალის მეძიებელი გულწრფელად იღვწოდეს, მაგრამ უღრანტყის-სიბნელეში კი აფათურებდეს ხელებს და ხრამისკენ მიაქანებდეს მის უკან მიმავალთ!..

ამიტომ საჭიროა მეგზური, გარკვეული გეზის აღმნიშვნელი,—

საჭიროა ხელოვნების პროკურორი!..

დაე, პროკურორი იგი იყოს სასტიკი, მაგრამ მოუსყიდველ-მოუფერებელი.—

მაშინ მუზათა სამეჯლისო მთა პარნასისა უფრო გასუფთავდება.

ამ მეჯლისში კი უპირველესი თუ არა, უკანასკნელი სავარძელი არ ეკუთვნის მელპომენას, რომელიც უმაღლეს ხელოვნებისა (უფრო უკეთ ხელოვნებათა ყველა დარგის) და ცხოვრების სინამდვილის გრძნეული სარკეა...

ჩვენში ვინ ემსახურება მას?

თეატრი.

მაგრამ თეატრი ცხოვრების გარეშე არარა არის.

### თეატრი და ცხოვრება

თეატრს – დრამატურგს, სცენას და მსახიობს—შესაძლოა იმოდენა მასალა არასოდეს ჰქონოდეს, რაოდენიც დღეს.

ძველის დანგრევა და ახლის ჩასახვის დასაწყისი, ეროვნულ-სარწმუნოებრივი შეხლა-შემოხლა, სოციალური უთანასწორობის კვლავ ბატონობა, ერთი წოდების დამხობა, მეორის გაბატონება, გოდება-ცრემლი და სიცილ-ხარხარი, მხოლოდ მდგომარეობის შეცვლის გამო... რომელი ერთი ჩამოვთვალო? გადაჰხედეთ მშიერთა უბნებს, ეგრედ წოდებულ ცხოვრებისგან გარიყულთ, დღიური საზრდო რომ ვერც კი უშოვიათ და ფულანდართა პარპაშს, უცებ მონაგარის ჩასანთქმელად ენით უთქმელ სალსარს რომ გამოსძებნიან ხოლმე, ლუკულის ნადიმს ან იმპერატორთა ღრეობას რომ გადიწყებენ...

აქ, სწორედ ამ დროს, უნდა აღამაღლოს ხმა ჭეშმარიტმა ხელოვნებამ, არა იმ ხელოვნებამ, რომელიც მდიდართა ნაჭამის მონელებას ხელს შეუწყობს, არამედ იმ ხელოვნებამ, რომელიც ყოველგვარ ბიწიერებას მარჯვე მახვილს ჩასცემს და ადამიანთა თანასწორ, უმაღლეს სიყვარულით გამთბარ სიცოცხლეს გზას თეთრ ყვავილებით მოუფენს...

და ჩვენში მუზათა საზეიმო მეჯლისიც მაშინ დაიწყება!

მაშინ დაიწყება ჩვენი წარსულის გაგრძელება და ჩვენ გადავეჭდობით არა მხოლოდ ჩვენის ერის წარსულ მშვენიერ სულის შემოქმედს, არამედ მთელ კაცობრიობის სულის უმაღლესსაუნჯესაც რომელიც ბაიერთად ერთი სალსარია ცხოვრების გასალამაზებლად და ადამიანთა ასამაღლებლად!.. შეუწყდეს,

იოსებ იმედაშვილი

...ედაშვილი.

# გ. ლადოშვილი (ცოცოჩავა)

ვისიც მოძმისთვის თავგანწირული
შრომა და აზრი ყოფილა წრფელი,
ამ ქვეყნად მარად მოიგონებდეს
ხაზ-გაუვლები ხსოვნის ფურცელი.

გ. ლადოშვილი

სიკვდილის დაუნდობელმა ცელმა მოგვტაცა ლადოშვილი და მისი სახე აწ მარტო „ხსოვნის ფურცელზე“ დარჩება.

ჯერ კიდევ ახალგაზდა, დიდი იმედებით აღსავსე, დაუღალავი შრომით გატაცებული მიეფარა ჩვენს თვალს.

გ. ლადოშვილი პოეტი იყო: წყნარი, მშვიდი და გულწრფელი.

მისი სახე მუდამ სევდიანი იყო. მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში აქტიური და დაუზარებელი. ის იმ დროს უგალობდა თავისებურ პოეტურ განცდით ძმობა-ერთობას და სიყვარულს, როცა რეაქცია სულს უხუთავდა ახალ აზრს. ლადოშვილი კვნესით ამბობდა:

„ცუდი ბედი მხვდა ცხოვრების გერსა:
ვიტანჯებოდი, ჩუმად ვტიროდი“-ო.

მაგრამ ხალხის გულში დაგუბებულმა სტიქიამ გამოხეთქა და ყველა „ცხოვრებისგერებმა“ იგრძნეს მშობლიური სითბო.

ლადოშვილსაც, როგორც ერთს მრავალთაგანს, თვალებზე ცრემლები გადაეწმინდა და ამაყად დაიძახა:

„მე მაგრად ვდგევარ, დაეცა მტერი;
ჩემი ხმა მისთვის დღეს ღვთის რისხვაა,
და მეც იმიტომ ხმა ტკბილად ვმღერი“-ო.

ჩვენი ქვეყნის განახლება მას გულში ჩასწვდა, და სწამდა:

მტკიცეა ბურჯი ჩვენი ქვეყნისა!
ამ შობით ძრწოდეს ბოროტი მტერი.

როცა ლადოშვილი ამ ზეიმს სიხარულით, თვალცრემლიან უცქეროდა და სურდა „ხმატკბილად მღერა“, ამ დროს სიკვდილმა არ დააცადა, რომ ექორა ასეთი სიდიადისთვის. და მოკვდა ისე წყნარად, როგორც წყნარი იყო მწერლობაშიაც.

არ შეიძლება ლადოშვილი დავიწყებული იქნას, როგორც პოეტი.

თუ მან ღრმა და ფართო ჰორიზონტი ვერ მოგვცა მთლიან შემოქმედების, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი განცდა არ იყოს ღირსი აღნიშვნისა.

საერთაშორისო იდეისადმი ლტოლვა და სიყვარული მის სულში ღრმად იყო გადაწნული და მუდამ, როცა მდგომარეობა ხელს შეუწყობდა, გვასმენდა:

შენ ცეცხლი ხარ, ჩემო მზეო,
აქ, ჩემს გულში ანთებული;
იწვის გული სიყვარულის
სამსხვერპლოზე დადებული.

და ამ სამსხვერპლოს ლადოშვილი მუდამ თავს ევლებოდა. მის წინაშე უკანასკნელ დღემდინ ურყევად იდგა. ამის დამამტკიცებელია მისი პროვინციაში უკანასკნელი მუშაობა.

მშვიდობით ძვირფასო გიორგი! შენი ლექსები და უმწიკვლო პიროვნება არ დაგვავიწყებს შენს სახელს.

კ. გერგეხელი

* * *

მედიდურ იყო, ვით ანტიური ქანდაკება...
და, თითქოს ღმერთსა, მუხლ-მოდრეკით მას სცემდენ თაყვანს;
ხმალით ნაგები არ ირკებოდა მისი დიდება...
...და ეძახოდენ ძლევა-მოსილ მას ადამიანს...

...დღეს შველას ითხოვს დამცირებულ და ქედ-მოხრილი...
პურის ნატეხი მარგალიტებრ მისთვის ბჰყვრიალებს...
და გადაიმტვრა მისი ხმალი, როგორც მარილი;
ზამთართან ერთად სიკვდილს ელის... სცივა... ჰკანკალებს...

შემოდგომისა ზეცა სტირის... ქარი სისინებს!..
მრისხან თვალებით დღეს ზამთარი მას ეზმანება:
ადრე დაკარგვა სიცოცხლისა მას ენანება!..

უკანასკნელი წამობერვა... გათავდა კიდეც...
ლონე-მიხდილი, ვით ფოთოლი შემოდგომისა,
გაფითრებულა, ჩაფერფლილა ძე-ადამისა!..

ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლიანი ადამიანი



ნ. ბ. ლოლუას ასული

რა ეშველებოდა სულიერად დაჩიებულ, რწმენა-გამქრალ ადამიანს, რომ სიცოცხლის განახლების ნიშნად აგერ-იგერ ია-ვარდი არ ამოჰყოფდეს თავს და ნივთიერად გახრიოკებულ ქვეყანას თვითშემოქმედი ადამიანნი არ გამოუჩნდებოდენ ხოლმე!

ასეთ ადამიანებს არ უყვართ ყვირილი, შარაზე გამოსვლა და მოკრძალენი არიან ისევე, ვითარცა ბუჩქის ძირას ამოცენილი ია, ისევე მორიდებული, დამალული, როგორც დედამიწის გულის სიმდიდრე, და ამიტომაც ჩვეულებრივი თვალი მათ ვერ ამჩნევს. ესენი უნდა სძებნოთ... არიან კი ასეთი ადამიანები. ჩვენი ქვეყანა არც ისეა გამოფიტული გრძნობა-გონებით, როგორც ზოგიერთს მიუჩნევია...

ერთი ასეთთაგანია სამეგრელოს ასული ნოტო ლოლუა, რომლის პირადი შრომა—ღვაწლით დღეს ფოთში ქალთა მშვენიერი პირველი კერძო პროფესიონალური სკოლაა საქალებო პროგიმნაზიული კურსით (ჯერ სამი კლასია, მალე მეოთხეც მიემატება).

ლოლუას ასული ყველაზე მეტად იმითია შესანიშნავი, რომ თანამედროვე მაღალ სასწავლებელში სწავლა არ მიუღია,—უსწავლია მხოლოდ თბილ. ხელსაქმის დაბალ სკოლაში და შემდეგ თავისით განვითარებულა, ამაღლებულა და მადლსა თავისსა უხვად ჰფენს მშობელ ერში.

თითქმის ოცი წელიწადია, რაც ლოლუას ასულმა გაალო პირველი სახელოსნო სკოლა. პირველად ეს სკოლა სამი განყოფილებისგან შესდგებოდა და უმთავრესად ღარიბ-ღატაკთა შვილებს ასწავლიდა. თვით ქ-ნი ლოლუა ობლობა-სიღარიბეში აღიზარდა და იცოდა, ვის უფრო უნდა მოხმარებოდა მისი ზნეობრივი წამქეზებელი იყო ნ. ნიკოლაძე, ლეონიდ ეპისკოპოსი და სხ. მაგრამ ნივთიერი დახმარება მაინც ძლიერ ნაკლები ჰქონდა. შვიდიოდე წლის წინად შეიძინა საქსოვ საფეიქრო მანქანები,—ისიც მოლოზნისგან მიბარებულ თხუთმეტი თუმნით და ასე ნელინელ გაზარდა სკოლა. ამ ჟამად სკოლა მოთავსებულია მისს და მისი ძმის ძუკუ ლოლუას საკუთარ სახლში, შეიცავს სამს კლასს სახელოსნო განყოფილებით. მოწაფე ჰყავს ასამდე, მასწავლებელი თორმეტამდე. თვიური ხარჯი თითქმის 11000 მან. უწევს. მასწავლებელნი იღებენ ძლიერ მცირე ჯამაგირს. კლასები გაყინულია უშეშობით. აქ შეუმჩნევლად შევესწარ და მოვისმინე გაკვეთილები. გაკვეთილი დაიწყო გალობით, რამაც უზომო სასოება მომფინა, ანგარიშის გაკვეთილი იშვიათად შემხვედრია ასე ხალისიანი ყურადღებით მოცული. ბუნების მეტყველების გაკვეთილი ერთსა და იმავე დროს იყო ახსნა საგნის, სიტყვათა სხვადასხვა ენით გადაცემა და მათთან დაკავშირებულ შესანიშნავ ადამიანთა ვინაობა-ნაღვაწის გაკვრით განმარტება; გვირგვინი ყველა ამისა თვით ნოტო ლოლუას ხელით ნაქარგ ნამუშავარი: სკოლის შესავალ დარბაზში კედელზე ფრიალებს ეროვნული დროშა თეთრი გიორგის ღერბით, ამოქარგული, მეორე დარბაზს ამშვენებს შოთას, თამარის, ვეფხის ტყაოსნის მირთმევის, ხარების და სხვ. მრავალ სურათთა, ნაქარგი საუცხოო და იშვიათი ხელოვნებით. მათი ოსტატი ხელოსანი კი არა ნამდვილი ხელოვანი ყოფილა და ესაა ნოტო ლოლუას ასული. ნაქსოვი საქონელი—შალეული, ტილოები, ჩულქები და სხ. გამოფენებზე და ბაზარში ისყიდება.



ნ. ლოლუას კაბინეტი

ლოლუას სკოლას დღემდე ჯერ მხოლოდ სამასი ისეთი ქალი მოუმზადებია, რომელნიც ან მასწავლებლებად არიან აქა თუ იქ, ან საკუთარი სახელოსნოები აქვთ გურია სამეგრელოს სხვადასხვა სოფელში.

მოწაფენი ჰყავს გურია-სამეგრელოს სოფლებიდან და ქართლ-კახეთიდანაც კი.

ყველაზე დიდი საყურადღებო კი ეს ის არის, რომ აქ მოწაფე-ქალნი გონების გაწრთვნასთან და ხელოსნობის შესწავლასთან ერთად ზნეობით სპეტაკდებიან და სრულქმნილ მოქალაქე-მეოჯახე ქალებად იზრდებიან. ამიტომაც არის, რომ ყველა ქალის პატრონი ცდილობს, მას მიაბაროს თავისი ქალიშვილი.

და ასეთ სკოლას ძლიერ მცირე შემოსავალი აქვს.

სკოლას იანვრიდან ერობამ აღუთქვა თვიურად 4000 მან. ქალაქმა 1000 მან. ეს არის და ეს. დანარჩენს ხარჯს სკოლის გამგე საკუთარის ნაშრომით ჰფარავს.

აუცილებელი და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ სკოლის საქმიანობას ყველა იმათგან, ვისაც ჭეშმარიტად სწამს ჩვენის ერის სულიერ-ნივთიერი აღორძინება.

დაე, გაუმრავლდეს ჩვენს ქვეყანას ისეთი მადლ-მოსილი ადამიანები, როგორიც ქ-ნი ნოტა ლოლუას ასულია!

ჩვენის მხრით ამ მუშაკთ,—ქ ნ ლოლუას და მის თანაშემწე მასწავლებელთ, რომელნიც აგეთის მუყაითობით და მხნეობით ემსახურებიან ჩვენის ქალების თვითმოქმედება-განვითარების საქმეს ვუსურვებთ წარმატებასა და გამარჯვებას.

**იოსებ არიმათიელი**

## დილა გაზაფხულის პირას

ქრება, ქარწყლდება უკანასკნელი
თოვლის ზოლები მწვანე მდელოზე,
ყინვით დამზრალი სიცოცხლის მხსნელი,
თბილი ოხშივარი იშლება ველზე.

ის გულ-მკერდი გადაუხსნია,
ახალგაზდა ტყე მწვანით ირთვება,
ფრინველს მეჯლისი გაუმართნია
და მტკბარ მიდამოს ეხმაურება;

მაგრამ აჰა იქ დაქცეულ მხრიდან
დიდუპულ მოძმის მოისმის კვნესა,
განადგურებულ ნანგრევებიდან
თავზარ ნაცემი ეძიებს მხსნელსა...

და ბუნება კი ისევ კეკლუცობს,
საგაზაფხულოდ კოხტად ირთვება
და უდარდელი ლხინობს, მეჯლისობს,
მზის ნასროლ ისრებს ესაუბრება!..

**დარია ახვლედიანი**

## † ამხ. ნოე სარიშვილი

ულმობელმა სიკვდილმა—უვადომ გამოგვტაცა ხელიდგან ერთი დაუღალავი და უანგარო სცენის მუშაკი ამხ. ნოე სარიშვილი. 1916 წ. იგი პირველად გამოვიდა ქართულ სცენაზე ქ. ბათომში და მაშინვე მიიპყრო ყურადღება ჩვენი მაშინდელ რეჟისორების ვანო ბარველისა და ვალ. შალიკაშვილის, ნიჭიერი აღმსრულებელი იყო იმერელ რეზონიერების როლებისა. ი. გომართელის ვოდევილში „იასონის თინებში“ თემურაზიძის როლში ხომ ბადალი არ ჰყავდა. 1916 წლიდანვე ითვლებოდა ბათომის ქართ. დრამატიულ წრის გამგეობის წევრათ. არა მარტო სცენაზე იყო ცნობილი, იგი ითვლებოდა ბათ. პირვ. რაიონის ს.-დ. კოლექტივის წევრათ. ბათომის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის საექსპლოატაციო დარგის სექციის გამგეობისა და რაიონულ გამგეობის წევრადაც.

აღარა გვყავს ეს გულწრფელი და უანგარო მუშაკი. ვეღარ გავიგონებთ მისს რიხიან შემოძახილს სცენიდან „ქრისტინეში“ დათიას როლში. ვეღარ გავიგონებთ მისს შეძახილს იმ თითქოს მოღვაწეების საწინააღმდეგოთ, რომელნიც საზოგადო საქმეებს სათავეში უდგიან და სცენას კი დღესაც მეოცე საუკუნეში, მაშინ, როდესაც ზულუსებმაც კი იციან მისი ფასი, დასცინიან.

მშვიდობით ამხ. ნოე; შენს ნათელს სახეს არასოდეს არ დავივიწყებთ შენი ამხანაგები და განვაგრძობთ უკანასკნელ სულის დგმამდე იმ ჯაპნის ზიდვას, რომელიც ჩვენთან ერთათ ივისრე შენ ამ ხუთი წლის წინეთ.

**გოგი**

## სულის ღაღადი

**მ ე გ თ ხ ო ვ ე...**

მე გთხოვე გული დაგეხატა დანალახვრავი,
გული დაჭრილი უიმედო შეყვარებულის,
უარი მითხარ და წაშალე დანახაზავი,
დანახაზავი თეთრ ქაღალდზე,—შენს წინ დებულის.

და გულმოკლულმა უსასოოთ დავხარე თავი,
ვეღარ გავბედე ჩემი თხოვნის განმეორება,
ფიქრით გავსტყორცნე,—გავაქანე ოცნების ნავი,
ოცნების ნავით მსურდა იმ წუთს მე განშორება!

მაგრამ როდესაც დაგინახე იქვე გავქვავდი,
ნაზათ ღიმილი გამშვენებდა ვით ღედოფალსა,
არ ვიცი მაშინ სიტურფითა ვის უფრო ჰგავდი,
ვის უფრო ჰგავდი: ცის ვენერას თუ ალის ქალსა?..

ოჰ, რომ გესმინა, საყვარელო, ჩემი ვედრება,
და დაგეხატა გული უღვთოდ დანალახვრავი,
ის იქნებოდა უბედურის სულის კვეთება...
და ჩემგან შენი სიყვარულის მცირე ამბავი...

———

**შ ე ნ ი წ ე რ ი ლ ი...**

შენი წერილი წავიკითხე და ვეამბორე,
ბროლის თითებით გადაგეხნა ვრცელი თაბახი...
რასაც ვეძებდი, რაც მინდოდა მე იქ ვერ ვპოვე,
მე იქ ვერ ვპოვე ჩემი გულის ნაფიქ-ნაძრახი...

მაგრამ მადლობა ისე ნაზათ იყო ნათქვამი,
ისე ფაქიზათ აღგებეჭდა ჩემი სახელი,
რომ სიხარულით დავბარბაცდი როგორც ნასვამი,
როგორც ნასვამი დავდიოდი გიჟივით ხელი...

და შორით მყოფელს ოცნებითა თავზე დაგქროდი,
გითხზავდი ახალ სერენადებს, ახალ სიმღერებს,
შენ-კი ზვიადად ყელმოღერით შემომცქეროდი,
შემომცქეროდი და მიკლავდი სურვილ-იმედებს...

———

**და თუ არ ისმენ!..**

უმანკო მტრედო! შეისმინე ჩემი ღაღადი,
გზა ცხოვრებისა გამინათე ბედით ნაწამებს,
შენს შექებაში, შენს ხოტბაში თუ არ დავღალდი,
თუ არ დავღალდი გიგალობებ სხვადასხვა ჰანგებს!..

და თუ არ ისმენ, არ დაუგდებ ყურს ჩემსა ლოცვებს,
თუ სამუდამოდ ჩამიმწარებ სიცოცხლის დღესა,
დავსწყევლი სოფელს... ჩემს გაჩენას .. ჩავიდენ
ცოდვებს,
ჩავიდენ ცოდვებს, მაგრამ შენ-კი... არ გახლებ ხელსა!..

**ბ. პელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეატრის ისტორიისთვის

## პროვინციის მოღვაწენი



იოსებ ფანცულაია

ხაშურის თეატრის პირველი დამაარსებელი და საზოგადო მოღვაწე.

ვისაც ხაშურის თეატრის ისტორიის გაცნობა სურს, უსათუოდ უნდა გაიცნოს ერთი სიმპატიური პიროვნება. ეს გახლავსთ იოსებ ფანცულაია.

იოსებ ნიკოლოზის-ძე ფანცულაია თბ. ტეხნიკურ სასწავლებელში კურსის დამთავრებისთანავე განჯას და თბილისში სამსახურის შემდეგ გადიყვანეს ხაშურს.

აი, აქედან იწყება იოსების საზოგადოებრივი მოღვაწეობა: პირველად ყურადღება მიაქცია რკ. გზის დეპოს გაუქმებულ ბიბლიოთეკას, რომელიც დაკეტილი იყო და მისი მეოხებით გაღებულ იქმნა 1887 წ.

ამ ბიბლიოთეკისთვის მისი მეცადინეობით გამოიწერეს ქართული ჟურნალ-გაზეთები და ქართველი მწერლების საუკეთესო თხუზულებანი, რამაც ბლომათ მიიზიდა ქართველი მკითხველები.

იოსები სამკითხველოს გარეთაც ხელს უწყობდა ხალხში წიგნების გავრცელების საქმეს. წიგნების გავრცელების გარდა იგი იყო ხალხში მჰევრმეტყველი მქადაგებელი.

სხვაგვარ პრაქტიკულ—თეორიულ მოღვაწეობაშიაც იოსები ცნობილია (მან შეადგინა, სხვათა შორის „Отвѣты на вопросы“, მემანქანეთა სახელმძღვანელო, რაიც ფრიად მოიწონეს,) მაგრამ იგი ჩვენთვის ამ ჟამად ყურადღების ღირსია, ვითარცა ხაშურის თეატრის საძირკვლის ჩამყრელი.

იმ დროინდელი ხაშურის თეატრის შესახებ ცნობები ან რეცენზიები ძალიან ნაკლებათ იბეჭდებოდა გაზეთებში. აფიშებიც კი მეტ ნაწილათ ხელთნაწერათ იყო ხმარებაში სტამბის სიშორის გამო.

როცა იოსები დასის შედგენას შეუდგა, დიდი დაბრკოლება დახვდა წინ მოთამაშე ქალების უშოვნელობით: ჯერ ამ დროში რა არის, და მით უფრო, მაშინდელ დროში ერთობ ეთაკილებოდათ ქალებს სცენაზე გამოსვლა.

იოსები იძულებული გახდა სცენაზე გამოეყვანა თავისი ცოლი, რძალი, დაი, ნათლიდედები და სხვანი.

ცოტა ხნის შემდეგ იოსების წაქეზებით კიდევ მოგვემატა სამი ქალი, რომლებმაც შემდეგში თვალსაჩინოთ იშრომეს.

ესენი იყვენ: 1) ანეტა მაისურაძისა, 2) აღათია ბიბილაშვილისა და 3) ნინო ტერსააკოვისა. კაცთაგან დასში შედიოდენ: 1) თვით იოსები, 2) გიგო გელიკურაშვილი, 3) ქრისტეფორე კიკნაძე, 4) სოსო გაბუნია, 5) ვანო მაისურაძე, 6) ფანიაშვილი, 7) საყვარელიძე, 8) საშა კანდელაკი, 9) ვლადიმერ ბიბილაშვილი, 10, მესხი და სხ...

იოსებმა პირველი წარმოდგენა გამართა ადგილობრივ რკ. გზის სკოლაში თავისი რეჟისორობით. დადგმული იქმნა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მეორეთ წარმოდგენილ იქმნა „არსენა“, რომელშიც იოსებმა მშვენივრათ შეასრულა იორამის როლი. მესამეთ—„ორი მშიერი“, რომელშიც ერთი მშიერის როლი თვითონ შეასრულა საუკეთესოთ იოსების თამაში აქ სანიმუშოთ მოვიყვანეთ, თორემ ჩვენს მიზანს ის არ შეადგენს, რომ სათითაოთ ჩამოვთვალოთ და დავაფასოთ, რამდენ ნაირი როლი ითამაშა იოსებმა, ან სხვებმა ეს ძალიან შორს წაგვიყვანს...

მაგრამ ერთი რამ კი არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ: ეს გახლავსთ დივერტისმენტში გამოსვლა იოსებისა, რომლის მიერ მოხდენილათ წაკითხულ ლექსებს აღტაცებაში მოჰყავდა ხოლმე მთელი თეატრის დარბაზი.

ვინაიდან რკ. გზის სკოლაში წარმოდგენების მართვა უხერხული იყო, და ყოველთვის არც შეიძლებოდა,—იოსების ნატვრა ის-ღა იყო, რომ საკუთარ სცენას ღირსებოდა. და აი, დადგა ეს დროც: იმ ხანებში მოვიდა ერთი შეძლებული ქართველი—ვასო მათიაშვილი, რომელმაკ დაიქირავა უპირველესი ბაღი ხაშურში. ამ ბაღში იოსების წინადადებით, მისივე გეგმით აშენებულ იქმნა პატარა ხის თეატრი, რომლის ფარდაზეც იოსებმა დაახატვინა ციხეები და სხვა რამეები, რაც მაყურებელს მოაგონებდა საქართველოს წარსულ მწარე დროს.

რა-კი თეატრი მზათ იყო, გაჩაღდა ხშირი წარმოდგენების დადგმაც, რასაც მუდამ იოსები რეჟისორობდა და ხელმძღვანელობდა...

ასე გასინჯეთ, ყოველგვარ საჭირო ხელ-საწყოს და ტანისამოსსაც მუდამ იოსები შოულობდა. ძველებურ ქართულ ეროვნულ ტანისამოსის თხოვებით-კი იოსებს ხელს უწყობდა აწ განსვენებული თავადი კოტე ხიდირბეგიშვილი, რომელმაც ბოლოს დროს ეს ტანისამოსი სულ დაუთმო ჩვენს სცენას.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენი თეატრი ბაღში იყო აშენებული. აქ ხშირად უკრავდა საგანგებოთ ჩვენ მიერ დაქირავებული მუსიკა. ზოგჯერ თეატრის დარბაზში იმართებოდა ცეკვა, რაც ძალზე იზიდავდა საზოგადოებას.

ამ ხანაში ჩვენმა თეატრის საქმემ უფრო წინ წაიწია.

ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ სცენის მოყვარეებს გარდა ამ დროს უკვე ჩვენს დასში მუშაობდენ: 1) ვანო მურვანიშვილი, 2) გიორგი ვეზირიშვილი, 3) ვლადიმერ იაშვილი, 4) ალექ. მებურიშვილი, 5) დარ. სარალიძე, 5) ლადო თურმანიძე 7) ნიკო თვალიაშვილი და 8) დათ. ახალკაცი.

აქ უნდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ ამავე ბოლოს ხანაში გამოვიდა ჩვენს სცენაზე 12 წლის ნიკო (კოლა) სიხარულიძე, რომელმაც მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და შემდეგში-კი გამოდგა ისეთი

თვალსაჩინო მოღვაწე (როგორც თეატრის საქმეში, ისე სხვებში), როგორსაც მას დღეს ჰხედავს მთელი საზოგადოება...

ზაფხულობით თბილისიდან ამოდიოდენ ქართველი არტისტები და აქ სდგამდენ ხოლმე წარმოდგენებს, რაშიაც ჩვენც ხელს ვუწყობდით, რითაც შეგვეძლო. ხანდისხან ისეც მომხდარა: შემთხვევით ვინმე მოთამაშე დაჰკლებიათ და ამ გაჭირვების დროს ჩვენ გამოუყვანივართ სცენაზე, ისე სახელდახელოთ და ურეპეტიციოთ. მაგრამ უნდა სიმართლე ვსთქვათ, რომ თვით არტისტები გაოცებული რჩებოდენ აქაურ სცენის მოყვარეთა თამაშით.

ამაში თვით ვასილ აბაშიძეც დაგვემოწმება.

ყველაზე მეტათ ნატო გაბუნია-ცაგარლისა იყო გაკვირვებული აქაურ სცენის მოყვარეების თამაშით.

ერთხელ ნატო აქ დაგვესწრო სწორეთ იმ დროს, როცა „ხანუმა“ ს ვსდგამდით. ხანუმას როლს ასრულებდა ანეტა მაისურაძისა. ამის მაყურებელმა ნატომ სიხარულით წამოიძახა: აი ახლა კი ვხედავ, ჩემს შემდეგ ვინ დარჩება ხანუმას როლის ამსრულებელიო...

ჩვენი დასი შესდგებოდა უმეტეს ნაწილათ რკ. გზის დაბალ მოსამსახურეთაგან. ამათში ერიენ ისეთებიც, რომელთაც შკოლური განათლება არა ჰქონდათ მიღებული და იყვენ მხოლოთ თვით განვითარებულნი. ერთი ამათგანი გახლდით მეც.

როცა ინტელიგენტებმა დაინახეს ჩვენი სცენაზე გამოსვლა და თამაში, სთქვეს: თუ კი უსწავლელს შეუძლია თეატრს ასე ემსახუროს, ჩვენ უფრო არ მოგვეთხოვება, რომ ასევე მოვიქცეთო.

ამ გვარათ ქეზდებოდენ ინტელიგენტები და ემატებოდენ ჩვენს სცენას.

ჩვენი თეატრი შეიქნა მეტათ სიმპატიური არა მარტო მიტომ, რომ ერთგული სცენის მოყვარეები ჰყავდა და ბეჯითი ხელმძღვანელი, არამედ იმითაც, რომ ამ თეატრში იდგმოდა ხშირად საქველმოქმედო წარმოდგენები.

არა ერთისა და ორი ღარიბი მოწაფისათვის მიუცია დახმარება ამ თეატრს.

1898 წ. 15 ივლისს იოსები წავიდა აქედან და თეატრს დაუტოვა გაპოხიერებული ნიადაგი.

ძველი სცენის მოყვარე სტ. ნოზაძე



სტ. ნოზაძე (ფონ-ტეფო)
ძველი სცენის მოყვარე და სახალხო მწერალი



# ლადო გზვანელი (ნაცვლიშვილი)

(30 წ. მოღვაწეობით შესრულების გამო)

ოცდაათი წელიწადი სრულდება, რაც ეწევა სახალხო მასწავლებელის მძიმე მოვალეობის, ამავე დროს ოცდა ხუთი წლის განმავლობაში მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე და მუშაობს სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებაში. 1894-1904 წლამდი თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში“ შემდეგ „თუშში“ „კოლხიდა“ „ერში“ ჟურნალ „განათლებაში“ „სამშობლოში,“ „ჩვენ-ქვეყანაში“ „სახალხო გაზეთში“ და სხვა გამოცემებში. მისი წერილები შეეხება დაბა სოფლების ცხოვრებას, დღიურ ჭირ-ვარამს, სახალხო სკოლებისა და მასწავლებლების ცხოვრებას, ქართულ ენისა და პედაგოგიურ საკითხებს და სხვა... ქუთაისში მისი რედაქტორობით გამოდიოდა პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „სკოლა და ოჯახი“ სამი წლის განმავლობაში ზედი ზედ აირჩიეს ქ. ქუთაისის დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კავშირის თავჯდომარეთ. 18 წელს იმსახურა პროვინციებში, უკანასკნელ 12 წელიწადს განმავლობაში მსახურებს ქუთაისში, ქართული ენის მასწავლებლათ, დღესაც განაგრძობს ჟურნალ გაზეთებში თანამშრომლობას, ბზვანელის და სხვა-და სხვა ფსევდონიმებით (თვითონ სახალხო მოსწავლებელის შვილია).



ო. ა. კეპინოვა
(საოპერო მსახიობქალი)



**მიქელ თამარაშვილი (1858—1911)**

დაუცხრომელი ისტორიკოს-მემკლევარი, ქართველი კათოლიკე, ახალციხელი გლეხისშვილი, საკუთარის მეცადინეობით, თვითგანვითარებით შეიძინა მეცნიერული ცოდნა, შეისწავლა უცხო ენები და ევროპიის საწიგნობლებში საქართველოს წარსულის (განსაკუთრებით ქართველ კათოლიკებზე) მრავალი მასალა შეკრიბა. შეადგინა: 1) „ისტორია კათოლიკობის საქართველოში“ გამოც. 1903 წ.; 2) „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“, გამოც. 1904 წ.; 3) „ისტორია საქართველოს ეკლესიისა“, გამოც. 1910 წ. და სხ. რომელნიც „ახალი ისტორიული გამოცხადება და აღმოჩენა „შეიქმნა ევროპიელ თვალში და საქართველოს წარსული ვითარება გააცნო უცხოელთა, მ. თ—ი ზღვაში დაიღუპა იტალიას, როცა ზღვაში ჩავარდნილ მუშის გამოყვანის დროს ამხანაგს მიეშველა. მისმა შრომამ საქართველოს ვინაობის გაცნობას ევროპაში ძლიერ შეუწყო ხელი.



**ნ. დ ი მ ო ვ ი**

(რუსის დრამატურგ-მსახიობი. ს. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი"-ს მთარგმნელი.

# მგოსანი და ყვავილი

როცა ყვავილი ჰკნებოდა,
მგოსანი ცრემლად დნებოდა,
— გრძნეულო, ჩემთვის ნუ სტირი,—
ყვავილი ეხვეწებოდა.

როცა მგოსანი კვდებოდა,
ყვავილი ემდურებოდა:
— მგოსანო, შენი სიცოცხლე
ცას და ზღვას შეედრებოდა.

შენ მოკვდე—ვილასთვის დავრჩე
ამ ქვეყნად საყნოსველად,
ჩემი ფურცლები ვის მივცე
ტუჩებზე საკოცნელად?!..

მგოსანო, სანამ არ იტყვი,
რაც სათქმელი გაქვს გულითა,
მიწას ნუ ჩაეხუტები
სურვილით უმადურითა...

როცა ყვავილი კვდებოდა,
მგოსანი ცრემლად დნებოდა;
ყვავილი დამჭკნარ ფოთლებით
მგოსნის გულს ეხუტებოდა.

რას აბარებდა რას არა,
დე მგოსნის გულმა გაიგოს,
მხოლოდ შემცდარმა ყვავილმა
ეკლის ლოგინი დაიგოს!..

**შიო მღვიმელი**

# ახალი მეოჯახენი

ა ნ უ

„მ უ შ ა დ ა ბ უ რ ჟ უ ა"

ვოდ. 1 მოქმ.

**მ ო ქ მ ე დ ნ ი:**

**ოთარ აბაშიძე** . . . . . . . . მოხელე
**თამარ** . . . . . . . . . . ამის მეუღლე
**ვანო პეტრიაშვილი** . . . . . . მუშა-ხელოს.
**სონა** . . . . . . . . . . ამის მეუღლე
**ძველი მეტანისამოსე** . . . . ვაჭარი
**მალხაზ** . . . . . . . . . მოსამსახურე

სცენა: ორად გაყოფილი ოთახი, ერთი მუშის, მეორე მოხელის. პირველი მდიდრულად და უშნოთ მოწყობილია, მეორე კი ღარიბად, მაგრამ გემოვნებით.

**მ ო ხ ე ლ ე ს ო თ ა ხ შ ი**

**თამ.** მშია!

**ოთ.** რა ვქნა!

**თამ.** შემირთე—მაჭამე კიდეც.

**ოთ.** მაშინ გირვანქა პური შაური იყო, ვინ მოელოდა ამ დროს.

**თამ.** სხვები თუ თეთრ პურს მიირთმევენ?

**ოთ.** ისინი დემოკრატები გახლავან და ეხლა მათი ხელმწიფობაა.

**თამ.** შენც გადემოკრატდი.

**ოთ.** კონდუქტორად გეახლოთ?

**თამ.** მაშ მოხელეს ჯამაგირი ერთ კვირასაც რომ არ გვყოფნის.

**ოთ.** დროების ბრალია...

**თამ.** მეტი მოთმინება არ შემიძლია, გავყიდოთ რამე.

**ოთ** ყველაფერი გაყიდე, რაღა დაგრჩა.

**თამ.** შენი ვიზიტკა?

**ოთ.** უკაცრავად; ამას კი ვერ მოგართმევ... კუბოში მაინც ჩამასვენეთ, როგორც ოთარ აბაშიძეს ეკადრება.

**თამ.** კუბოში ჩასასვენელი ადრე მე შევიქნები... წუხელი შიმშილისაგან არცა მძინებია... ოხ, ღმერთო, ეს რა ცხოვრებაა. ქუჩაში სირცხვილით ვერ გავსულვარ: ქუჩის გლახასავით მაცვია, რაც რიგიანი მქონდა, გავყიდე. სიკვდილი სჯობია ასეთ სიცოცხლეს. (ტირის).

**ოთ.** ტირილით მიცვალებულს აცილებენ და მე ხომ ჯერ არ მიფიქრია სიკვდილი. რა გატირებს? აი, ბათომს დაგვიბრუნებენ და დროებაც გამოკეთდება.

**თამ.** ახ! ნეტავი მუშას მაინც გავყოლოდი. აი, ჩვენი მეზობელი მუშა თავის ცოლით ყოველ-დღე ინდოურ-ქათმებს მიირთმევენ. შენ კი კვირაში ერთი გირვანქა ხორცი რო მოიტანო, დიდი დღესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწაულია. მისმა ცოლმა ჩემი გაყიდული კაბა იყიდა და ჩემი თვალის დასაწვავად ატარებს. მერე რა უშნოა. (პაუზა) ეხლა სადილს რა ვუყოთ? (ისმის ხმა: „სტარი ადეჟდი, სტარი ადეჟდი“). აქ მოდი, აქ.

**ოთ.** რა იმედით ჰპატიჟობ?

**თამ.** ვიზიტკა...

**ოთ.** მერე მე არ მკითხავ?

**თამ.** მე რომ კაბები გავყიდე? (შემოდის ძველი მეტანისამოსე. თამარას გამოაქვს ოთარის ვიზიტკა და მოვაჭრეს ასინჯინებს). რას მისცემ?

**ოთ.** მაშ შენ აგრე? დამაცადე... (გამოაქვს თამარას კაბა). მეც შენსას გავყიდი.

**თამ.** გაბედე, მაგ თმებს აგაძრობ.

**მოვ.** ვა, რა გაჯავრებს? ორივემ მომყიდეთ, კარგ ფას მოგცემთ.

**თამ.** დააფასე ვიზიტკა...

**მოვ.** (სინჯავს)... ნახმარია... ორმოცი თუმანი.

**თამ.** მაგ ფასში არშინ ჩითს ვერ იყიდი.

**მოვ.** აჰა, ათი თუმანიც.

**თამ.** ორასი თუმანი.

**მოვ.** კარგი, შენი ხათრით ასი თუმანი იყოს.

**თამ.** მოიტა ფული! (ფულს ინახავს და ვიზიტკას აძლევს).

**ოთ.** ფული მაინც მომეცი.

**თამ.** უკაცრავად, გინდა შენებურად ქალებში დახარჯო. ვერ მოგართვი.

**ოთ.** აჰა, ეს კაბაც, რას დააფასებ?

**თამ.** (მოვაჭრეს). აბა გიყიდია, ცხვირს მოგჭრი.

**ოთ.** არ გიყიდია მაგ გასქელებულ ზურგზე მუშტების ბომბანდიროვკას გაგიჩენ...

**მოვ.** ვაიმე, ეს რა ხლაფორთში ჩავარდი! არ მინდა, არ ვყიდულობ. (წასვლას დააპირებს).

**ოთ.** სად მიბძანდები? (ხელს მოკიდებს).

**თამ.** (ხელს წაჰკრავს და უნდა ტუფლი წაიძროს) აბა არ წასულხარ.

**მოვ.** (დაუჩოქებს). ხალხნო! რა გინდათ ჩემგან? საწყალი ვაჭარი ვარ... მოდი ჯერ თქვენ მორიგდით, მე კი ქუჩაში მოგიცდით და დამიძახეთ.

**თამ.** (ოთარს) მომეცი კაბა!

**ოთ.** ვერ მოგართვი. (თამარი გამოსტაცებს კაბას, ოთარი ისევ წაართმევს. გაიმართება მათ შორის ჩხუბი. მოვაჭრე გარბის. ხმაურობაზე შემორბის მალხაზი).

**მალ.** ვაი დედაია, დახოცვენ ერთმანეთს! (ჩაუვარდება მოჩხუბარეთ შუა გასაშველებლად, მაგრამ მათი მუშტები გამშველებელს ხვდება. ოთარი გამოსტაცებს მაინც კაბას და გარბის გასასყიდათ. გაბრაზებულ თამარას მალხაზი ოთარი გონია და თმაში წაავლებს ორთავე ხელს).

**თამ.** აჰა! გამოემშვიდობე შენს თმებს!

**მალ.** ვაიმე, დედაია! ტკივილია, რა ფერ ტკივილია. გოიში ბოშო! ჩემია ბალანი, ჩემი...

**თამ.** (ატყობს ოთახში) მოგსპობ, დაგარჩობ!..

**მალ.** (მორთობს ბღავილს) მიშველეთ! დედაკაცი მკლავს!.. (თამარას ისტერიკა ემართება და ნერვიულად იცინის. მალხაზი განთავისუფლდება და თავისუფლად ამოისუნთქავს) ვუი, რაფერ იცინის ეხლა! კაგიჟდა სწორეთ. (წყალს ასხამს და შეუღლოცავს). თეთრო გიორგივ, შენ დააჭკვიანე, შენ მოუბრუნე გული...

**თამ.** (დამშვიდდება და ტირის) ამ სიღარიბესთან, ქმარიც უსვინდისო შემხვდა.

**მალ.** დაწყნარდით ბატონო! მეზობლების სირცხვილია; რა ვუყოთ, სიღარიბე მოდაშია ეხლა.

**თამ.** უკანასკნელი კაბა წამართვა და როგორ დავწყნარდე

**მალ.** სამსახური იშოვეთ. თქვენისთანა განათლებული, პატიოსანი ქალი და სიღარიბეს ჩიოდეს?! სხვა არ იყოს, ჩვენი ქვეყნის სირცხვილია.

**თამ.** სწორედ, განათლებული და პატიოსანი რომ ვარ, მიტომ ვერ ვშოულობ ალაგს. დემოკრატებს აძლევენ...

**მალ.** აჰა, მეც არ მეგონა! ეგაა მიზეზი? გადემოკრატდით თქვენც.

**თამ.** როგორ? მასწავლე.

**მალ.** მაგაზე ადვილი რა არის. თავსაკრავი მოიხვიეთ, ჩუსტები ჩაიცვით და პარტიაში ჩეეწერეთ.

**თამ.** მერე?

**მალ.** ეიღეთ ეს პარტიის ბილეთი და აჩვენეთ „პრაფესიანი საიუზში“. ჩაგწერენ და რა ალაგი არ გნებავთ, მოგცემენ.

**თამ.** ადრე ვერ მეტყოდი? მერე სად ვიშოვო ჩუსტები? ყველაფერი გავყიდე...

**მალ.** პოლსაპოჟკების კი რა მოგახსენოთ. და თუ ჩემი დედაკაცის ჩუსტებს იკადრებთ, მოგართმევთ!

**თამ.** მოიტა. (მალხაზს შემოაქვს თავსაკრავი, ჩუსტები და სხ. თამარა გადიცვამს). ამის მოსწრებას ჭირმა რომ წამიღოს—არ სჯობია!

**მალ.** რავა გეკადრებათ! უნდა გაიტანოთ. მოგეხსენებათ ღმერთი ღარიბებისაა... (თამარა მიდის, მალხაზი შებრალების ნიშნად თავს დააქნევს. და დალაგებას შეუდგება. პაუზა. შემოდის ოთარი).

**ოთ.** გავყიდე! სად არის?

**მალ.** გეახლათ... ერთი რა უნდა მოგახსენოთ. ჩემისთანა უსწავლელს კაცს კიდევ ეპატიება, მარა თქვენ არ გეკადრებათ მაგფერი მოგცევა ქალთან. სხვა არა იყოს რა, თქვენი გულიზა ბალანი აღარ და მიტოვა თავზე, სულ გადამაძრო. (ოთარი იცინის). თქვენ გეცინებათ, მარა ქალს ხშირად უნდა დაუთმოთ, არ ვარგა ასე... ცოდოა.

**ოთ.** ეხ, ჩემო კარგო! შენ ქალებს არ იცნობ: სატანას ნათესავები არიან. მუშის ცოლი შინ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მალ.** ჯერ არ გამოუღვიძიათ.

**ოთ.** ქალს ჩუმად ბარათი გადაეცი.

**მალ.** რავა, ეარშიყებით თუ?

**ოთ** შენი რა საქმეა, მიეცი..

**მმლ.** კი, ბატონო, გადავცემ! მარა... ჩემი ხაზეიკა მაწუხებს, გადაახდევიეო აბაშიძეს ოთახის, სინათლის, წყლის... ფულიო.

**ოთ.** გადაეცი, ეხლა დემოკრატიული დროა და პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ ქირის მიცემის. (მიდის).

მ უ შ ი ს  ო თ ა ხ შ ი

(შემოდიან ვანო და სონა, ახლად ამდგარნი. ჩაის სმას შეუდგებიან. მაგიდაზე: რძე, კარაქი, ყველი, თეთრი პური და სხ.).

**სონა** ამ მეზობლების ჩხუბმა აღარ დაგვაძინა.

**ვანო.** ეხ! გაჭირვება აჩხუბებს!

**სონა.** (იგრიხება სარკის წინ.) ვანო! რა ცუდი კარსეტი მიყიდე, სრულებით არ ალამაზებს ფიგურას. კარსეტი იმნაირი უნდა იყოს, რომ „ვოსემ“ დახატოს. ეს კარსეტი კი მარტო ნოლს ხატავს. безобразіе! ახალი მიყიდე.

**ვანო.** ერთი დედაჩემს ეცვა მაგნაირი კარსეტი!

**სონა.** დედაშენს მარიამი ერქვა, მე კი საფო. რა შედარებაა? ჩვენ полноправны ვართ ეხლა.

**ვანო.** შენ сверхправны გამიხდი. დღეში მარტო შენი რჩენა ორასი თუმანი მიჯდება.

**სონა.** მაყვედრი კიდევაც. ах ты хам. გაგეყრები, არ გიყვარვარ. (ტუჟილად ტირის).

**ვანო.** ვხუმრობ, დედაკაცო...

**სონა.** Какая я тебѣ დედაკაცი. გთხოვთ საფო დამიძახოთ. როდის მევესწრები შენ გაარისტოკრატებას.

**ვანო.** არისტო არ ვარ, მე ვანო მქვიან...

**სონა.** შენ სულ ხუმრობაზე გადაგაქვს. დღეს სადილზე ინდოური აღარ მინდა, მომბეზრდა. იხვი იყიდე. ნალივკებიც არ დაგავიწყდეს (ისმის ხმ: სტარი ადეჟდი!) აქ მოდი! (შემოდის იგივე მოვაჭრე).

**მოვ.** კარგი ვიზიტკა, კარგი! ახალი...

**სონა.** ვანო! ვიზიტკა უნდა იყიდო.

**ვანო.** შენი ჭირიმე, ჩემ ტანისამოსში დამტოვე...

**სონა.** მე მსურს! რა ღირს?

**მოვ.** თქვენთვის ცამეტი ათასი მანეთი.

**ვანო.** კაცო! ოქროსი ხომ არ არის შეკერილი.

**მოვ.** სუფსარქისის მადლმა, მარტო ას თუმანს ვიგებ, აი!

**სონა.** არა უშავს, მიეცი...

**ვანო.** აი თქვენი სუფსარქისის მადლი გაგიწყრეს, აჰა! გავიზომო მაინც. (იცვამს, მაგრამ მოკლე აღმოჩნდება). მოკლეა, ბიჭო...

**სონა.** მე კი მომწონხარ. ისე გაბერილი არ ჩანხარ. (მოვაჭრეს) კაბა გაქვს?

**ვანო.** ერთი დუჟინი კაბა გაქვს...

**სონა.** (ჰკოცნის) მიყიდე რა...

**მოვ.** (აჩვენებს კაბას). თქვენთვის თორმეტი ათასად შეიძლება, ატლასისაა...

**ვანო** კარგი, აჰა ფული და მალე გაჰქრი აქედან. (მოვაჭრე მიდის). მოდი ქალო, ერთი მაინც ჩამაპრომტინე...

**სონა.** (ხელს მიუშვერს). არისტოკრატები ქალებს ხელზე ჰკოცნიან, ბაცილებს ერიდებიან. (ვანო მაგრად ჰკოცნის ხელზე). ნაზად... ვერ შეგაჩვიე ზრდილობას... წადი სახელოსნოში და პუდრი მიყიდე... კანფეტები მომბეზრდა, კულიჩი მიყიდე. (ვანო ამოიოხრებს და მიდის. შემოდის მალხაზი და ბარათს გადასცემს. სონა კითხულობს და სახე უბრწყინდება. სარკის წინ იგრიხება, დუხებს ისხამს).

**მალ.** ვაი სარკის ბრალი...

**სონა.** შენ, ეი, грубіян, გაეთრიე აქედან..

**მალ.** ბავშვები რო ჯოხებით დაჯირითობენ, ვითომ ცხენებიაო, ისე თქვენ და დიდკაცობა! ორი ფუთი პუდრი დეიყაროთ, მაინც...

**სონა.** Вон отсюда, нахал! лакей! (მალხაზი გარბის. შემოდის ოთარი ყვავილებით და სონას ეხვევა).

**სონა.** გუშინ რატომ არ მოხველ, შე საძაგელო. (ჰკოცნის ტუჩებში) შენი ულვაშების ჭირიმე...

**ოთ.** არ მეცალა, ჩემო მტრედო! აბა თუ რამე გაქვს მაჭამე. მომშივდა. ჩემო ჩიტო!.. (სონაავსებს მაგიდას სხვადასხვა სასმელ-საჭმელებით და მოხვეულნი შეუდგებიან ქეიფს).

მ ო ხ ე ლ ე ს  ო თ ა ხ შ ი

(შემოდის დაღონებული თამარ. უკან მოყვება მალხაზ).

**მალ.** რა ქენით ბატონო?

**თამ.** მარტო გორნიჩნას ალაგია. აბა, როგორ წავიდე გორნიჩნად?

**მალ.** ბატონო, ნუ გამცემთ და ერთი რამ უნდა გითხრათ.

**თამ.** რა არის?

**მალ.** თქვენ იტანჯებით და ქმარი კი გლალატობთ.

**თამ.** ვისთან?

**მალ.** (თითით უჩვენებს. თამარას შევარდნა უნდა, მაგრამ თავს იკავებს).

**თამ** მაშ ასე, ბატონო ოთარ! ეხლა კი ყველაფერი მესმის. (გარბის).

**მალ.** ბატონო!.. თავი არ მეიკლას. (გადის).

მ უ შ ი ს  ო თ ა ხ შ ი

**ოთ.** აჰა, ბროშკა!

**სონა.** შენი ჭირიმე. (ჰკოცნის) ცოლი არ მიგიხვდება?

ოთ. ჰგონა, სამსახურში ვარ. (იცინიან).

მ ო ხ ე ლ ე ს  ო თ ა ხ შ ი

(თამარას ძალით შემოყავს ვანო, რომელსაც ვიზიტკის გახდა დავიწყებია).

**თამ.** მაშ არ გჯერა? ყური დაუგდე!

**ოთარ.** გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და დემოკრატების ცოლებს!

**ვანო** მე შენ გაგადემოკრატებ, დამაცა... (თამარას) რა ვქნათ ეხლა?

**თამ.** მათ ჯინაზე უნდა შემიყვარო.

**ვანო.** ვა! სიყვარული კრანის გაკეთება ხომ არ გგონია, ხელად ვერ მოვა.

**თამ.** საქმე დაწყებაა! ამ შემთხვევაში ქალებმა მეტი იცინიან, მომეხვიე (ვანო ეხვევა). გაბედულად... მაკოცე! შენ არც ისე უშნო ყოფილხარ, რომ ცოლი გლალატობს. (ჰკოცნის)

**ვანო.** აბა შენ და ჩემი ცოლი რა შედარებაა. შენ ოქრო—ის სპილენძი. (ჰკოცნის, დასხდებიან საწოლზე მოხვეულნი და ძალით ახმაურებენ).

მ უ შ ი ს  ო თ ა ხ შ ი

**ოთ.** ჩემს ოთახში რაღაც ხმაურობაა!

**ხონა.** კოცნაც ისმის!..

**ოთ.** (ეშვით) ეხლავე დავბრუნდები.

მ ო ხ ე ლ ე ს  ო თ ა ხ შ ი

**ოთ.** (თავის ოთახში შედის და სახტად რჩება). ჩემი ვიზიტკა... ჩემი ცოლი... სულ შენ?.. რას ნიშნავს? არამზადა! გაეთრიე აქედან!

**თამ.** (ოთარს) გთხოვთ სხვის ოთახში ნუ ყვირით, ეს ოთახი ეხლა ჩემი მიჯნურ ვანოსია. (ჰკოცნის ვანოს).

**ვანო.** გაუმარჯოს ბურჟუაზიულ რესპუბლიკას და ბურჟუების ცოლებს. (ჰკოცნის თამარს. ოთარი თავში წაივლებს ხელს).

ფარდა

**სვ. წერეთელი**



**საარტისტო საზ-ის** დარბაზში სამშაბათს, მარტის 2, მილიციის კულტურულ-განმანათლებელმა სექციამ გამართა წარმოადგენა (რუსულ ენაზე შილლერის „ყაჩაღები") იმის და მიუხედავად, რომ ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო, მსახიობებს ამით გული არ გატეხიათ და პიესამ მთლიანად ჩაიარა. ფრანცის როლს ქართულ ენაზე ა. შანშიაშვილი ასრულებდა. შანშიაშვილი ნიჭიერი ახალგაზდაა, მაგრამ მისი ნიჭი მანამდე ფრთას ვერ გაშლის, სანამ ის მიმბაძველობის გზას ადგია. ხმა, მიხვრა-მოხვრა, სახის



**ლ. ნ. ისეცკი—იონისიანი**
(საოპერო მსახიობი) შარჟი

გამომეტყველება ერთ თავად მესხიშვილისაა, რაც შანშიაშვილის ნიჭს ჰკლავს. უკანასკნელ მოქმედებაში მისმა ნამეტანმა ყვირილმა სიცილი გამოიწვია. აღსანიშნავია რუსული დასის მსახიობი გარსევან გომართელი (გომაროვი). ეს ახალგაზდა ნიჭიერია, შესამჩნევად დაგვიხასიათა შვეიცარი და გვიკვირს ქართულ დრამატიულმა საზოგადოებამ მას აქამდის რატომ ყურადღება არ მიაქცია და ქართულ სცენაზე არ გადმოიყვანა. უნაკლულოდ შეასრულა თავისი როლი (კარლი) მსახიობმა როსტოვცევმა. ანტრაქტებში გაიმართა ამერიკული აუქციონი.

ხილეულობა გაიყიდა 10000 მან. კონიაკი 8000 მანეთში. წმინდა შემოსავალი იქნება 20000 მანეთამდე.

**გ—ელი**

---

**ავჭალის აუდიტორიისთანა** დასი ეხლა არც ერთ მუშათა კლუბში არ არის. თუ აქამდე ავჭალის აუდიტორია (ამ სეზონში) წარმოდგენების მხატვრულად ჩატარების მხრივ თითქმის ყველა მუშათა კლუბებზე დაბლა იდგა, ეხლა ყველას გაასწრო. აღსანიშნავია გამგეობის გამოცოცხლებაც. მართალია ავჭალის აუდიტორიის მრევლი მუშებისგან შესდგება, მაგრამ როგორც სინამდვილემ გვიჩვენა, ამ მუშებსაც შეუგნიათ ხელოვნების მნიშვნელობა და თუ ამ ორი თვის წინად, როცა წარმოდგენები დეფექტებით იმართებოდა, დარბაზი ცარიელი იყო, დღეს ხალხით გაჭედილია. ეს მიეწერება ახალგაზდა რეჟისორ პ. ფრანგიშვილის მუყაით ხელს.

კვირას, მარტის, 15 წარმოადგინეს „ქრისტინე", პიესამ მხატვრულად ჩაიარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ დეფექტებს, რომლებიც არტ. დარ. ქარ. წარმოდგენებზე უფრო მეტია ვიდრე აქ. ყველა დამეთანხმება რომ დათიას სავსებით განსახიერება ძნელია, მაგრამ დ. ჩხეიძემ უნაკლულოდ დაგვიხატა. ქრისტინეს განცდა ზედმიწევნით გადმოგვცა ვ. გვაზავასასულმა, უკანასკნელს ნიჭი აქვს და საჭიროა მეტი მუშაობა. ს. ეპიტაშვილის ქალმა ორი როლი შეასრულა (მარიკა და ნატალია) ორივე როლში უნაკლო იყო. ნატალიაში საჭიროა მეტი სითამამე. უ. ჩხეიძე (ლევანი) ნიჭიერი სცენის მოყვარეა, მას აქვს თავისი როლები, რომლებშიც ის შეუდარებელია, მ. გომელაური (მიკიტანი) კარგი იყო. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ.

**შალვა გორისელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სოხუმის** ქართულ ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ხელოვნების კომისია მხნედ და მუყაითად უძღვის პირველ ქართულ სეზონს... რეჟისორად მიწვეული ივ. ბარველიც არ ზოგავს თავის ძალღონეს და, შეძლებისადაგვარად, ხელმძღვანელობს სისტემატიურ წარმოდგენებს, რომელიც იმართება ყოველ კვირა ალოიზის თეატრში. დასში სცენის მოყვარეთა გარდა მონაწილეობენ ორი პროფესიონალ-მსახიობნი ნ. ჯავახიშვილისა და ვ. ჯიქია, რომელთა დაკვირვებული და მომზადებული თამაშით, ყოველთვის კმაყოფილი რჩება დამსწრე საზოგადოება. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებელ მიზეზებისა წელს ზოგიერთი რთული პიესების დადგმაც მოხერხდა. სხვათაშორის ორჯერ ზედიზედ წარმოდგენილმა „მსხვერპლმა“ (ი. გედევანიშვილისა) დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მთავარ როლებს ასრულებდენ ბ. ბ. ბარველი (ბოქაული), ვ. ჯიქია (გიგუა), ჯავახიშვილი (დედა), ვადაჭკორია (გაბუა). ყველა ნაკისრ მოვალეობას სინიდისიერად ასრულებდა. აღსანიშნავია აგრეთვე სეზონში წარმოდგენილ რამოდენიმე პიესა, როგორც მაგალითად „მომაკვდავნი სურათნი“ გ. შარვაშიძისა, „სიმახინჯე“. ე—ი

——

**ხაშურის** რკინის გზის მუშათა კლუბში მარტის 6, შაბათს, გაიმართა რთულ პროგრამიანი საღამო მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. საღამო ისეთი შინაარსიანი აღმოჩნდა, რომ მოლოდინსაც გადააჭარბა დაიდგა ას. ცაგარლის „რაც გინახავს ველარ ნახავ“ ადგილობრივი ძალთა მონაწილეობით და ნიკო სიხარულიძის რეჟისორობით: ყველა მოთამაშეს ეტყობოდა როლის საუცხოვოდ ცოდნა რაც იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე სცენის მოყვარეებში. ავეტიქას როლის მოხდენილი შესრულებით ნიკო სიხარულიძემ უსაზღვროთ აცინა დამსწრე საზოგადოება. წარმოდგენის შემდეგ რამოდენიმე რომანსი შეასრულა ადგილობრივმა ორკესტრმა; ანტრაქტების დროს წაკითხულ იქნა ლექსები: ერთი მოხუც მუშა პოეტ ფონტეფოს და მეორე ობოლი მუშისა ანტონ ბიბილოვის მიერ. ამერიკულ აუქციონით გაიყიდა ერთი კულიჩი 4000 მან. მეტად. ბოლოს გაიმართა ცეკვა, ჩვენებური და ევროპიული, რითაც დამთავრდა საღამო და საზოგადოებაც დიდათ კმაყოფილი დაიშალა. **საქამიასერელი**

——

**მუშტაიდი კლუბში** კვირას მარტის 14 რკინის გზის კვანძის სცენის მოყვარეთა წრემ შ. ბერიშვილის რეჟისორობით დასდგა ერისთავის 4 მოქმ. დრამა „მეორედ გაყმაწვილება“. ასეთი პიესების დგმა ქ. თბილისში დღეს უნდა ითქვას არ ეპატიება არა თუ ისეთს ნიჭიერ რეჟისორს, როგორიც არის შ. ბერიშვილი, არამედ უბრალო სცენის მოყვარესაც. მით უმეტეს რომ ამ პიესას თურმე ეგ წრე მეოთხედ დგამს ეხლა. დროა ასეთ პიესას ანდერძი აუგოს ჩვენმა სცენამ. შეცდომაა თუ კი რეჟისორები ფიქრობენ, რომ განაპირა უბანია და ყოველგვარი ქაოსის მიწოდება შესაძლოა მუშებისათვისო. პირიქით უნდა სასტიკი შერჩევით დგამდენ აქ პიესებს. რაღა უნდა ითქვას აღმასრულებელზე. ასეთ პიესაში ბევრს ვერაფერს მოითხოვ მსახიობს. არ უვარგა ენა, წყობა და სხვა კარგათ ასრულებდა თავის როლს მ. კალანდაძის ქალი, მაგრამ ეტყობოდა ვერ ეხერხებოდა ერისთავის ენით ლაპარაკი. არა უშავდა გადიას აღმასრულებელს. სხვები კი არცერთი მათგანი თავის ალაგას არ იყო. ლითანიშვილი ეტყობა ნიჭიერი სცენის მოყვარეა, მაგრამ ამ საღამოს ამ პიესაში ვერ გამოიჩინა სავსებით უნარი ის ძველ ბურაბაშიძურ დიქციით გაყვიროდა სცენაზე, რაიც თანამედროვე თეატრზე საშინელ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. არა უშავდა ქლენტს. დანარჩენებზე კი არაფრის დაწერა არ შეიძლება

საჭიროა მიექცეს ყურადღება სცენის მოყვარეთა დიქციის აუცილებლად განვითარებას, თორემ ასეთი დიქციითა და მიხვრა-მოხვრით ყრუ სოფლის სცენაზედაც კი არ თამაშობენ. **ა—ბელი**

——

**ს. ჭიორაში** (რაჭის მაზ.) ამ სამი თვის წინად ადგილობრივ მასწავლებლის ვანო რეხვიაშვილის თაოსნობით შესდგა სცენის მოყვარეთა დასი. დასში ირიცხებიან: ქ-ნი ნინო, ოლღა და ცუცა რეხვიაშვილები; ბ-ნი ივ. ბაკურაძე, ვანო, თევდორე, ოლომფრე და ვარლამ რეხვიაშვილები. დასდგა „პატარა კახი“, „დამარცხებულნი“, „არსენა“, „ფული და ხარისხი“, „ორი მშიერი“. წარმოდგენები იდგმის სკოლის შენობაში, ეტევა 120-დე ხალხი ძლიერ ეტანება თეატრს და თანდათან ეჩვევა. დასმა დაარსა სამკითხველოც. **მოყურადე**

——

**მეორე ქალთა გიმნაზიის დარბაზში** მარტის 14 თბ. კონსერვატორიის სიმღერის მასწავლებლის ქქ-ნ მიხალსკაიას და ყალამქაროვის თაოსნობით გაიმართა კომპოზიტორი ქალის ბარბარე მიხეილის ასულის ამირეჯიბის მუსიკის დილა, რომლის შემოსავალი გორში დაზარალებულთა ფონდს გადაეცა: კონცერტი საყურადღებო იყო, როგორც ზემოხსენებული მიზანით, აგრეთვე კიდევ უფრო საყურადღებო და სასიხარულო ჩვენთვის, დილაზე დამსწრე ქართველებისათვის როგორც გამოფენა ასეთი უდიდესი, ჩვენთვის დაფარული ნიჭის და მით უმეტეს ქართველი ქალის. მცოდნე და სანდო პირთა შეფასებით — „ამირეჯიბის ქალის მუსიკა არაფრით ჩამოუვარდება საქართველოს ცნობილ კომპოზიტორთა მუსიკასაო“. შეასრულეს მისი მუსიკალური ნაწარმოებნი: მერკნეთის დღე, მოჭიკჭიკე ჩიტები, Favot fis mol, მთვარიანი ღამე, იავნანა, Refite valse, რა კარგია შენი ყვავილები, ელეგია, ოხ, არა, სილამაზისთვის ნუ გიყვარვარ, ყანავ და სხვა აუარებელი რომანსით მოაჯადოვა საღამოზე ყველა მყოფნი. კონცერტში მონაწილეობდენ ქ-ნი მიხალსკაიას და ყალამქაროვის მოწაფენი, რომელთაც სერიოზული მომზადება ეტყობოდათ. როცა საზოგადოების უსაზღვრო გატაცებამ კომპ. ამირეჯიბის ასული მთლად გრძნობათ გადაიქცა ქ-ნ მიხალსკაიას სთხოვა ემღერნა მის მიერ ნაძღვენი რომანსი „ჩაზამთრება“. გამოუთქმელია ის აღფრთოვანება და განცდა, რომელიც გამოიწვია ქ-ნ მიხალსკაის არა ჩვეულებრივმა მუსიკამ და მომხიბვლელმა გადაცემამ. დასასრულ ავტორმა როიალზე შეასრულა ქართულ კილოზე დაწერილი მუსიკა „Favot fis mol“. ბევრი თაიგული, გვირგვინი და მხურვალე ტაში მიუძღვნეს ამირეჯიბის ნიჭს. ქართველი ქალის ნიჭის სრული დღესასწაული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველები თითზე ჩამოსათვლელი დაესწრენ. სად იყო დღემდის ქ-ნი ამირეჯიბი? რა უფლებით, ან რა მიზეზით მალავდა ამ უდიდეს განძს და არ აქვეყნებდა მშობელ ერის წინაშე? ან სად იყვნენ მის სიახლოვეს მყოფნი ქართველი მეგობარი — ნათესავები, რომ ვიდრე სხვა ერის შვილებმა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოაქვეყნეს ეს ერის დაფარული სიამაყე, თვით ქართველებმა არ ითავეს ეს წმინდა საქმე?

ჩემის მხრივ უდიდეს მადლობას ვსწირავ ქ-ნ მიხალსკაიას, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ კეთილ მიზანს და მოგვცა საშვალება მოგვესმინა კომპოზიტორ ქალის ამირეჯიბის მუსიკა.

იმედია, ამ გარემოებას ღირსეულ ყურადღებას მიაქცევენ ჩვენი მუსიკის ჰირისუფალნი და ამერეჯიბის მადლიან ნიჭს მთელი საქართველოს წინაშე გამოაქვეყნებენ.

**პარნასელი**

---

**ეკატერინოფელდში** (ბორჩ. მაზ.) მარტის 3 ბორჩალოს სამაზრო ერობის გამგეობის შენობაში შესდგა ეკატერინოფელდის ქართველი საზოგადოების კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ანდრო ხუციშვილი ლადო პერტაიას მდივნობით. დღის წესრიგში იყო: კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოების დაარსება. კრებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თითქმის ერთხმად, მიიღო ერობის თავმჯდომარის პ. კავკასიძის წინადადება: დაარსდეს „ეკატერინოფელდის ქართული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება“. თავმჯდომარის წინადადებით არჩეული იქმნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა არა უგვიანეს ორი კვირისა, შეიმუშაოს საზოგადოების სამოქმედო სქემა და წესდება. კომისიაში შედიან ერობის მოსამსახურე ქალი მარო კავკასიძე, ერობის გამგეობის მდივანი კოლა ცერცვაძე და ეკატერინოფელდის უპნის მომრიგებელი სასამართლოს მდივანი მგოსანი ლადო პერტაია. ორი კვირის შემდეგ ხსენებული კომისია საზოგადო კრებას დასამტკიცებლად წარმოუდგენს სამოქმედო სქემას და წესდებას, რის დამტკიცების შემდეგ არჩეულ იქნება საზოგადოების გამგეობა. დაბოლოს აქაურ ქართველ საზოგადოებას გამოფხიზლება ეტყობა. ვუსურვოთ არ დასძინებოდეს! **ვინ—მე**

---

**სახალხო სახლის** სცენის მოყვარეთა წრემ დიდი უნარი გამოიჩინა გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ საღამოს გამართვით. მარტის **4**, ჩვეულების წინააღმდეგ, მაღალ ფასიანი წარმოდგენა-საღამო მოაწყო. დაიდგა „მსხვერპლი“ და სხ. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ვახშამი. წარმოდგენამ საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა. ფონდში ჯერჯერობით 170000 მ. შეიტანეს ამ საღამოს გამართვაში თითქმის წრის ყველა წევრებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს, მაგრამ განსაკუთრებით დიდი შრომა და სიბეჯითე გამოიჩინა კ. თ. ხახანაშვილმა. **უ.**

---

**ფოთში** თებერვლის 29 შესდგა განახლებულ დრამატიულ საზოგადოების კრება, არჩეულ იქნა 7 კაცისაგან შემდგარი გამგეობა.

იმედია, არჩეულნი განახლებულ ცხოვრებას აუღებენ ალღოს და ღირსეულად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. დროა საზოგადოებრივ ინდიფერტიზმს ბოლო მოეღოს და ხელოვნების ტაძარი პატივითა და დიდებით შეიმოსოს. აი, აქეთკენ უნდა იქნეს უმთავრესად ჩვენი ყურადღება მიქცეული. მართალია, საკუთარი თეატრი არა გვაქვს, სცენის მუშაკებს კერძო თეატრში უწევთ მოღვაწეობა, სადაც ხელს უშლით ათასგვარი დაბრკოლებანი, მაგრამ დრომდი ამითაც უნდა ვისარგებლოთ ფოთელ დემოკრატიის გასათვითცნობიერებლად და როდესაც ეს დემოკრატია თავის უმრავლესობით შეიგნებს თეატრის ნაყოფიერობას კიდეც შექმნის.

და ჩვენ უსურვებთ ახალ გამგეობას ამ მიზნის დროით მიხწევას.

თებერვლის 28 დრამატიულ წრის მიერ დადგმულ იქნა „იუდას ამბორი“, რომელიც კარგათ ჩატარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოება ძლიერ ცოტა დაესწრო.

**ახალი იქსი.**

---

**ვერის მუშათა კლუბში** კვირას, მარტის 7, დილით გაიმართა საბავშვო წარმოდგენა დივერტისმენტით და ცეკვით გორელ ბავშვთა სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქმნა კ. ქსნისპირელის (კ. რატიშვილი) ერთ მოქმედებიანი საბავშვო პიესა. „ალქაჯი“ (იხ. ჯეჯილი 1915 წ.) პიესა საინტერესო იყო თავის შინაარსით ბავშვთათვის, საუბედუროდ პატარა ალმსრულებლებს შესაფერი მომზადება აკლდათ, თუმცა დიდის ხალისით და ინტერესით თამაშობდნენ... დამსწრე ბავშვებსაც ეტყობოდათ ინტერესი, მაგრამ კლუბის პატარა დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო ალბად იმიტომ რომ სათანადოდ ვერ იყო გამოცხადებული... დილა დამთავრდა ცეკვით, რის შემდეგაც მხიარული და კმაყოფილი ბავშვები დაიშალნენ. ზედ მეტი არ იქნებოდა მოწყობა ყოველ კვირა დილით ამ გვარ ბავშვთა წარმოდგენებისა. **№ 158.**

**გურჯაანში** მოწინავე პირთა კრებამ დაარსა კულტურულ-განმანათლებელი წრე ხალხში თვითცნობიერების შესატანად; გაალეს წერა-კითხვის და ანგარიშის საკვირაო სკოლას, სადაც ლექციებიც გაიმართება მეურნეობა, მედიცინის, ბუნების მეტყველების, გეოგრაფიის, ისტორიის და ლიტერატურის დარგიდან; სამკითხველოს დასაარსებლად შეიძინა შკაფი. გამოიწერა ჟურნალ-გაზეთები. ამავე წრეს განუზრახავს შეიძინოს სცენის მოყვარეთა წრე, აგოს თეატრი (რისთვისაც შემნახ-გამსესხებელმა ამხანაგობამ დახმარება აღუთქვა) და სხ. **გ—ლი**

# წვრილი ამბები.

**„რევოლიუციის ისტორიასა“** სწერს ცნობილი პუბლიცისტი ყარიბი (პ. გელეიშვილი) სამ ტომად: I— ეკატერინე II და ერეკლე II-ის ურთიერთობა და აღა მაჰმად ხანის შემოსევა II—საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა, პირველი ვარანცოვის ხანა, განმათავისუფლებელი მოძრაობა 1905 წ. და III—რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი ცნობა დიდთა სახელმწიფოთა-მიერ.

**ახალგაზდა სწავლული** შ. ბერიძე მომავალ კვირას, მარტის 28, საეთნოგრაფიო საზ-ში მოხსენებას წაიკითხავს „ქართული სამეცნიერო თერმინოლოგიისთვის.“

**ხელოვნების კომისიას** განუზრახავს ქალაქის კულტურულ დაწესებულებათა—მუზეუმების, სიძველეთსაცავების და სამკითხველოების—შემოქუჩება გაერთიანება.

**გარდაიცვალა** პროვინციის დამსახურებული სცენისმოყვარე ნ. სარიშვილი.

**ცხოვრების სარკეს** გამოცემის განახლება გადასწყდა. როგორც მკითხველთ მოეხსენება ამ გამოცემის ორი ტომი გამოიცა ცხრაასიან წლებში, მეორე ტომის

გამოცემა დაბრკოლდა შემდგენელ-გამომცემლის იოსებ იმედაშვილის დევნისა და შეპყრობის გამო (თუმცა წიგნის თითქმის ნახევარი უკვე დაბეჭდილი იყო, მისი „ყაჩაღებში“ ვილაცამ ცალკეც გამოუშვა) ამ მესამე ტომში შერჩეული სოფლისა და ქალაქის სცენებისათვის გამოსადეგი პიესები დაიბეჭდება განსაკუთრებით ორიგინალური.

**„თეატრი და ცხოვრება-“ს** ათის წლის სამახსოვრო ნომერი, საგანგებო სარედაქციო კოლეგიის მიერ შედგენილი, შემდეგ კვირას გამოვა. ნომერში მოთავსებულია თითქმის ყველა ჩვენ ცნობილ მწერალთა (ჟურნალის ძველ თანამშრომელთა) წერილები, სურათები და სხ. აგრეთვე ერთმოქმედებიანი პიესა „ალების ცეკვა“. ჟურნალი დასურათებული იქნება, მოზრდილი და ეღირება — 25 მანეთი.

**მცხოვანი მსახიობი ვასო აბაშიძე** დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. მის სასარგებლოდ და მისივე მონაწილეობით ახლო მომავალში გაიმართება საღამო-წარმოდგენა.

**მეორე ქარ. კლუბთან** არსებულ სცენის მოყვარეთა დასმა დაიწყო სეზონი კ. ანდრონის პიესა „სიზმარი კოშკში“. შემდეგი წარმოდგენა: ს. წერეთლის კომედია „მეორედ მოსვლა“. საზოგადოება ბევრი ესწრობა.

**სახელმწიფო თეატრში** მსახ.-ქალმა ეთერი სტაროსტინამ პირველი გასტროლის მთელი შემოსავალი შესწირა გორელების სასარგებლოდ.

**კონსერვატორიის დარბაზში** იტალიის მისიის თაოსნობით გაიმართა დიდი კონცერტი ძველი იტალიის მუსიკისა. შემოსავალი გადაიდო გორელების სასარგებლოდ.

**„დღენი ჩვენი ცხოვრებისა“** ახალი ოპერა გლუხოვცევისა, სიუჟეტი აღებული ლ. ანდრეევის პიესიდან დაიდგა სახელმწიფო თეატრში მარტის 15.

**ვასილ ბარნოვის** „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“, რვეული პირველი, 94 გვ. ფას. 18 მ. 50 კ.

**რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი** იუსტიციის სამინისტროს გამოცემა, 140 გვ ფ. 50 მან.

**„ჯეჯილი“** № 1, წლიურად 100 მ.

**ქართველი მწერლები,** ივ გომელაურის მიერ შედგენილი, წიგ. I, უ. დ. სკოლის პირველი კურსი გამოცემა 8, 208 გვ. ფ. 38 მ.

**„საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან“**, ზ. ჭიჭინაძისა, გამოცემა ალ. არაბიძისა, 16 გვ. ფ. 5 მ.

**„მოლიპულ გზაზე“**, რომანი ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი, ამ ჟამად მესამე გამოცემად იბეჭდება სასწრაფოდ. გამოცემა წ. კ. ს 25 წ. შესრულდა, რაც რომანი დაიწერა, პიესად გად. ვ. გარრაეის —მიერ, ჩვენ ჟურნალში დაიბეჭდა. ეს გადმოკეთებული პიესა ვ. გუნიას და გადმომკეთებლის მიერ მოკლე ხანში დაიდგმის რომანის დაწერვის 25 წ. შესრულების აღსანიშნავად.

**ალ. მაისურაძის კონცერტი** სახალხო სახლში კვირას, მარტის 28 მაისურაძის მომღერალთა გუნდი გამართავს დიდ სახალხო კონცერტს 4 განყ. გუნდა შეასრულებს სხვადა სხვა ქართულ სიმღერებს: ბერი-კაცი, კახური და ქართლური, შევარდენი, მითხარ რა ვქნა, ზამთარი, ურმული ჯანდიერის და სხვა. ფანდურზე შესრულდება ლექსი ალ. მაისურაძისა—მ. ეგორაშვილის მიერ (ლექსში აწერილია მიწის ძვრა გორში). დასასრულ გაიმართება საერთო ცეკვა „რადო“.

**ხელის მომწერთა საყურადღებოდ**. ვისაც ჰსურს ჟურნალის გზავნა არ მოესპოს, ჯერჯერობით უნდა გამოგზავნოს: ვისაც 50 მან. შემოუტანია — კიდევ 150 მან. (ნაწილი მაინც), ვისაც 100 მან. — კიდევ 100 მან.

(ფასის მომატება გამოიწვია სიძვირემ)



ისიდორე კვიცარიძე

იმერეთის მეწიგნე, და ჟურნალ გაზეთების გამავრცელებელი ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან „იმერეთის მწიგნობრობის ისტორია“, რომელიც მალე დაიბეჭდება.



ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი
მის კონცერტის გამო რომელიც იმართება 2ჟ მარტს სახალხო სახლში დღისით


სახელოვნო—სათეატრო—სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

დაარსებულია 1910 წ. გამოდის ყოველ კვირა, თითო № 10 შ. წლიურად ჯერჯერობით 100 მანათი, (შეიძლება ფასი მოემატოს). ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში (ბაზრის ქ., ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი არჯევანიძისა, № 20)

(ჟურნალის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად მიიღება შემოწირულებაც).

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

პირველხარისხოვანი რესტორანი

შამპანი!

ამხ—ბა ძმათა კერესელიძების და ბაქრაძეთა
(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)
ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი. (წლიური)

დაიბეჭდა და დაურიგდა

აგენტებს და მაღაზიებს გასაყიდათ კანტორა „განათლები“-ს გამოცემა ან. ჟუჟისპირელის

„ტყის ძმები“

მოთხრობა გურიის ახლო წარსულიდან ფასი 40 მან.
იქვე იყიდება ახლად დაბეჭდლი ტრიფონ რამიშვილის 3 მოქმ. პიესა „სტუმარ-მასპინძლობა“ ფასი 25 მან.

საწყობი წიგნის მაღაზია „განათლება“-ში ოლღას ქ· № 6


რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.